მინიმალური ანგარიშით

კიევი. ცენტრალური სტადიონი. 23 მაისი.

“დინამო” (კიევი) – “დინამო” (თბილისი) 1:0 (1:0).

კიევი: პროხოროვი, ბერეჟნოი, კუზნეცოვი, ზუევი (ბოიკო), რეშკო, კოჩუბინსკი, კოვალიოვი, დამინი, ბესონოვი (ლოზინსკი), ხაპსალისი, მარჩენკო.

თბილისი: გოგია, ებრალიძე (ხიზანიშვილი), ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე, ჩელებაძე, გ. მაჩაიძე, წერეთლი (ესებუა).

მსაჯი: ვ. კოგანოვი (ბაქო).

დუბლიორები – 1:2.

მატჩი, რომელშიც ორივე გუნდს აკლდა უძლიერესი მოთამაშეები, მიმდინარეობდა საინტერესოდ, როგორც მასპინძლების, ისე სტუმრების აქტივობით, დასაწყისში ტერიტორიული უპირატესობა კიეველებს ჰქონდათ, შემდეგ კი ინიციატივა მთლიანად თბილისელებმა იგდეს ხელთ, რომლებმაც რამდენიმე სახიფათო მომენტი ვერ გამოიყენეს მოპირდაპირე კართან.

შეხვედრის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა გოლმა, რომელიც მარჩენკომ გაიტანა თავით თბილისელთა კარში მე–20 წუთზე.

“ლელო”, 25 მაისი, 1976 წ.